შპს ტეტრიქსი
TETRIX LLC

სამეურნეო და საწარმოო ობიექტი
საამქრო/სტამბა

ქ.თბილისი, ენუქიძის ქუჩა ს.კ. № 01.19.22.003.001

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

ვამტკიცებ: შპს „ტეტრიქსი“-ს დირექტორი

დ. ჩიკვაიძე /

შპს ტეტრიქსი ს.კ. 406213663 TETRIX LTD

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

შემადგენლობა:

ა) განმარტებითი ბარათი;

1. შესავალი
2. სამშენებლო მოედნისა და სამონტაჟო ობიექტის დახასიათება
3. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა
4. ობიექტის საინჟინრო მომზადება და მითითებები სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე
5. სამშენებლო სამუშაოების რიგითობა და ეტაპები
6. უსაფრთხოების ტექნიკა
7. გარემოს დაცვის ღონისძიებები
8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია
9. რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმების, სპეც.ავტო-ტრანსპორტი

ა) განმარტებითი ბარათი

1. შესავალი

ქ.თბილისი, ენუქიძის ქუჩა ს.კ. № 01.19.22.003.001 სამეურნეო და საწარმოო (საამქრო/სტამბა) შენობა-ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შპს „ტეტრიქსის“-ს სპეციალისტების მიერ ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ III-4-80- „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” -კრებული სამახსოვრო ქართულ ენაზე-მოქმედი სნ და წ ამონაკრები -საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა. თბილისი 1987 წ.
4. შ. ბაქანიძე, მ.ლორთქიფანიძე, - „ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე“ ქ.თბილისი 2006წ.
5. სნდაწ 3.01.01-85* „სამშენებლო საქმიანობის წარმოება“
6. სნდაწ 3.01.01-85* „ტექნიკური უსაფრთხოება მშენებლობაში“
7. N361 27.05. 2014 წ. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ ტექნიიკური რეგლამენტი“
8. N477 27.10. 2017 წ. „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 2019 წლის 31 მაისი ქ. თბილისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ;
10. სნდაწ 3.03.01-87 –„მზიდი და შემომფარგლავი კონსტრუქციები“
11. სნ და წ 3.03.01-74 - ”ბურულები, ჰიდროიზოლაცია, ორთქლიზოლაცია”
12. სნ და წ 3.03.21-74 - “სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები”
13. სნ და წ 3.04.03-85 - “კოროზიისგან სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობების დაცვა” ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე. სნ და წ 3.01.01-85*-ის „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნის თანახმად, სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი. აკრძალულია მშენებლობის დაწყება დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე. ასევე, სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა

შესაბამის უფლებამოსილებისა და გამოცდილების მქონე სუბიექტის მეშვეობით.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო სააქციო საზოგადოება **"ავტომობილისტი"-ს (ს/კ: 208140439)** დავალება პროექტირებაზე, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამეურნეო და საწარმოო (საამქრო/სტამბა) შენობა-ნაგებობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა პროექტით მიღებული არქიტეტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები, მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა, ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ნაკვეთის გეოდეზიური მონაცემები.

2. სამშენებლო მოედნისა და სამონტაჟო ობიექტის დახასიათება

მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ.თბილისი, ენუქიძის ქუჩა ს.კ. № 01.19.22.003.001 საპროექტო ობიექტისათვის შერჩეულია მონოლითურ რკინაბეტონის საძირკველი, ხოლო შენობის ძირითად კარკას წარმოადგენს ლითონის კონსტრუქცია. საძირკველი არის მონოლითური ფილა, რომლის დაფუძნება ხდება გეოლოგიური ფენა#2-ზე, ეროზიული ფენის გამოცვლა ხდება სრულად სამშენებლო ნორმატივების დაცვით რომელიც მითითებული საპროექტო დოკუმენტაციაში. კედლების მოწყობა ხდება სენდვიჩპანელებით. სახურავის ტიპი არის ქანობიანი, მოწყობილი ლითონის კონსტრუქციაზე, რომელიც გადახურულია სენდვიჩპანელებით;

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, პროექტის მიხედვით შენობის დაფუძნება ხდება ფენა #2-ზე, საანგარიშო წინაღობვა R=1.9კგ.d/სმ² , სიმკვრივე P=1.86გ/სმ³, ხვედრითი შეჭიდულობა C=0.16კგ.d/სმ2; დეფორმაციის მოდული E=80 კგ.d/სმ².

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 0.48 კპა; თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 0.5 კპა;

3. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

სამონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ. და წ. 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“; ასევე

დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“ კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე. სამუშაოების განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, ასევე რეალური სიტუაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა T=12 თვის პერიოდით. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა.

4. ობიექტის საინჟინრო მომზადება და მითითებები სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე

მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია ობიექტს აწყობს/ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტის მიხედვით, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. მშენებლობა უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხვედველობის ქვეშ;
ფარული სამუშაოების მიღება შესაბამის უფლებამოსილი პირების კონტროლის ქვეშ, დადგენილი წესით აუცილებელია. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე

<u>მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება - სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით:</u>

1. მოსამზადებელი სამუშაოები, სამეურნეო სათავსების მოწყობა
2. შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფისირება
3. მიწის სამუშაოები, საძირკვლების ფილის ქვაბულის ამოღება, გრუნტის გატანა
4. ფუძის მოწყობა, ეროზიული გრუნტის გამოცვლა, მდინარის ხვინჭის დაყრა და ფენებად დატკეპნა სათანადო წესით.
5. მონოლითური რკ. ბეტონის ფილის მოწყობა 0,00 ნიშნულამდე
6. მზიდი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0,00-დან +7,75 მეტრ ნიშნულამდე
7. სახურავის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა სენდვიჩპანელებით, კარ-ფანჯრების ჩაყენება
8. საინჟინრო-ტექნიკური ქსელების და კომუნიკაციების მოწყობა; ხანძარუსაფრთხოების სისტემების დამონტაჟება
9. შიდა და გარე სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშოები
10. სამშენებლო სამუშაოთა დასრულება, ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამშენებლო ნარჩენების გატანა, ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები

5. სამშენებლო სამუშაოების რიგითობა და ეტაპები

მშენებლობის პირველი რიგი:

I ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები

1. მოსამზადებელი სამუშაოები: მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან უნდა განხორციელდეს ნებართვით მითითებული საჭირო შეთანხმებების და ნებართვების განხორციელება, ასევე უნდა განხორციელდეს საჭიროების შემთხვევაში საინჟინრო ქსელის ჩაჭრა-გადალაგება პროექტების და ნებართვების მიხედვით, შესაბამისი საექსპლუტაციო სამსახურების ჩართულობით. შემდეგ უნდა განხორციელდეს დროებითი ქსელების და სამშენებლო მექანიზმებისა და ავტოტრანსპორტისათვის სამშენებლო მოედანზე დროებითი მოხრეშილი გზის მოწყობა.

ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს:

1.1 დროებითი სათავსების დაყენება საკადასტრო წითელი ხაზების ფარგლებში. ტერიტორიას გააჩნია საკმარისო ფართები საპრარაბო ინვენტარული სათავსის და ღია სასაწყობო მოედნის განსათავსებლად, რეკომენდებულია მშენებლობის საწყის ეტაპზე ერთი საპრარაბო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ინვენტარული ვაგონის შემოტანა ან სათავსის მოწყობა

1.2. დროებითი ღობის მოწყობა: _ საპროექტო ტერიტორია წითელი ხაზების გასწვირვ შემოღობილია კაპიტალური ბეტონის ღობით, ზედ საინფორმაციო ბანერით.

1.3. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა წყლით და ელ. ენერგიით უნდა მოხდეს საქალაქო ქსელებიდან, აქტის შედგენით მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

1.4. მშენებლობის პროცესში, სამშენებლო სატრანსპორტო მოძრაობა უნდა განხორციელდეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული სატრანსპორტო სქემისა და ასევე მათი მითითებებისა და ნორმების მიხედვით, მშენებლობის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს აღნიშნული დროებითი სატრანსპორტო სქემის მოხსნა და მოეწყოს ახალი შეთანხმებული სატრანსპორტო მოძრაობის მანიშნებლები.

II ეტაპი - დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

2. შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება, გეოდეზიურ-დაკვალვითი სამუშაოები: მოსამზადებელი სამუშაოების და მობილიზაციის დასრულების შემდეგ წარმოებს შენობის ღერძული დაკვალვა და მისი მიბმა რეპერებთან, რაც სრულდება სპეციალისტთა მონაწილეობითა და სათანადო აქტის შედგენით.
2.1 თავდაპირველად ამაგრებენ დაკვალვის გარე ქსელს სამშენებლო მოედანზე ნახაზზე მიღებული ღერძების გადატანით ნატურაში. სანიველირო და დგომითი დაკვალვის წერტილები უნდა იყოს გაერთიანებული. ელემენტებისა და კონსტრუქციების გეგმიური და მაღლივი მდგომარეობა, მათი ვერტიკალურობა, ჩასატარებელი დეტალების დაყენების სიზუსტე მოწმდება შენობის შიდა დაკვალვის ნიშნულებიდან.

მშენებლობის მეორე რიგი:

III ეტაპი - მიწის სამუშაოები, საძირკვლების ფილის ქვაბულის ამოღება, გრუნტის გატანა

3.1. მიწის სამუშაოების შესრულების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლი. გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა სასურველი არ არის. ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება აუცილებელია.
3.2. მიწის სამუშაოების წარმოება და საძირკვლების მოწყობა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად:
- სასურველია მოიხსნას მიწისზედა ჰუმუსირებული ფენა და დასაწყობებულ იქნას ტერიტორიაზე შემდგომში კეთილმოწყობაში გამოსაყენებლად.

- ჰუმუსის მოხსნის შემდეგ განხორციელდება საშუალო მოცულობის ჩამჩიანი ექსკავატორით საძირკვლისათვის ორმოების ამოღება საპროექტო ნიშნულამდე, პარალელურად ავტოთვითმცლელებზე დატვირთვა და გადატანა საპროექტო შენობის სიახლოვეს.

IV ეტაპი - ფუძის მოწყობა, ეროზიული გრუნტის გამოცვლა, მდინარის ხვინჭის დაყრა და ფენებად დატკეპნა სათანადო წესით.

4.1. მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ საძირკვლების მოწყობის წინ ქვაბულებში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო რუკით გამოყოფილ წითელ ხაზებთან შეთავსებით, ღერძების დამაგრება აუცილებელია უძრავ ელემენტებზე. როგორც წესი ამ დანიშნულებით გამოიყენება დროებითი ღობე.
4.2 საძირკვლის მოწყობის შემდეგ უნდა მოიტკეპნოს ქვაბულის ძირი, მოეწყოს ზედ ბუნებრივი ფენილი ხრეშ-კენჭნარის ბალიში, ფენობრივად დატკეპნილი ყოველი 15-20 სმ. მისი დატკეპნის შემდეგ დაეფინოს ზედ ჰიდროსაიზოლაციო პოლიეთილენის ფირი, მოეწყოს ბეტონის მოსამზადებელი ფენა სისქით 10 სმ.
4.3 საძირკველის ძირის ნიშნულებისც ასევე კონტროლდება გეოდეზიური ინსტრუმენტების გამოყენებით ნიველირით ან თეოდოლიტით. შემოწმების შედეგები უნდა ფიქსირდებოდეს გეოდეზიურ კონტროლის ჟურნალში და უნდა შედგეს შესაბამისი დაკვალვის აქტები.

V ეტაპი - მონოლითური რკ. ბეტონის ფილის მოწყობა 0,00 ნიშნულამდე

5.1 მონოლითური რკინაბეტონის ფილის კონსტრუქციისათვის წინასწარ უნდა მომზადდეს ხის ყალიბი, შემდეგ პროექტის მიხედვით მოეწყოს მასში არმატურის ბადე და ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს

კონსტრუქციის დაბეტონება მიმდევრობით დაბეტონების ტექნოლოგიის სრული დაცვით. სასურველია დაბეტონების პროცესი შეთანხმდეს პროექტის კონსტრუქტორთან და პერიოდულად სხვადასხვა კონსტრუქციის დაბეტონების დროს შედგეს დაფარული სამუშაოების აქტები შესაბამისი კომპეტენტური ზედამ ხედველობისა და მშენებლობის ხელმოწერით, ასევე დაფიქსირებული ფოტოფიქსაციით.

VI ეტაპი - მზიდი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0,00-დან +7,75 მეტრ ნიშნულამდე

6.1. კონსტრუქციული ნახაზებით ლითონის კონსტრუქციის ძირითადი ელემენტები სასურველია დამზადდეს სორტამენტული მასალებით, დამზადება სასურველია სამშენებლო მოედნის გარეთ სპეციალიზირებულ საამქროში და იქვე შეიღებოს ანტიკოროზიული საღებავებით.

6.2. სამშენებლო მოედანზე მათი აწყობის პერიოდში აუცილებელია შედუღების კვანძებზე დარჩენილი ელექტრონული ნადებების მოცილება, ასევე ანტიკოროზიული საღებავით დაზიანებული ადგილების დამუშავება.

6.3. ლითონის კონსტრუქციების დამონტაჟება და სხვა სამონტაჟო ოპერაციები უნდა შესრულდეს მობილური ამწის გამოყენებით. ლითონის დგარების მონტაჟის დროს ამწის კაუჭის მოხსნა მათი ანკერებში საიმედოდ ჩამაგრებამდე იკრძალება.

6.4. გადახურვის ლითონის ფერმის დამონტაჟების პერიოდში უნდა გამოიყენოთ ტრავერსები. ტრავერსებზე ჩამოკიდებული მარყუჟების ჩაბმა უნდა მოხდეს ფერმების ზედა სარტყელების, ირიბნებისა და დგარების შეერთების ოთხ კვანძში.

6.5. სამონტაჟო სამუშაოთა პერიოდში მშენებარე ობიექტის ქვეშ და სიახლოვესაც მომუშავეთა ყოფნა იკრძალება დგარების თავზე აწეული ფერმების საპროექტო მდგომარეობამდე მოყვანა წარმოებს რელიეფზე მოშორებით დიაგონალურად მდგომი ორი მემონტაჟის მიერ საბელების

საშუალებით. შემდეგ დგარებზე მიდგმული კიბეებით მემონტაჟეები ადიან ორივე მხრიდან, დგარების გასწვრივ აწესრიგებენ ფერმების სიზუსტეს და ამაგრებენ ერთმანეთან. მზიდი კარკასის დამონტაჟების ოპერაციებს პერიოდულად ამოწმებენ კონსტრუქტორები.

VII ეტაპი – სახურავის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა სენდვიჩპანელებით, კარ-ფანჯრების ჩაყენება.

VII ეტაპებით გათვალისწინებული სენდვიჩპანელებით სახურავის მოწყობისა და მათი კედლებზე შეკიდების სამუშაოები. არქიტექტურულ და კონსტრუქციულ ნახაზებში მოცემულია მათი განშლები სახურავზე და ფასადზე, მათი ჩამაგრების კვანძები დგარებზე და გადახურვის ფერმების კონსტრუქციულ ელემენტებზე. გეგმებზე და ფასადებზეც მონიშნულია ფანჯრის ალათებისა და ალაყაფის კარებების მდებარეობა. სენდვიჩპანელების დასამონტაჟებლად უნდა გამოიყენოთ მობილური ამწე. ასევე უნდა იხელმძღვანელოთ მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დებულებებით.

VIII ეტაპი - საინჟინრო-ტექნიკური ქსელების და კომუნიკაციების მოწყობა; ხანძარუსაფრთხოების სისტემების დამონტაჟება

VIII ეტაპით გათვალისწინებულია საინჟინრო-ტექნიკური ქსელების და კომუნიკაციების მოწყობა; ხანძარუსაფრთხოების სისტემების დამონტაჟება, სუსტი დენების მონტაჟი, ხანძარუსაფრთხოების ქსელები და ა.შ. როცა შენობა დახურულია და კედლებიც შევსებული მომდევნო ეტაპის სამუშაოთა განხორციელება სირთულეს აღარ წარმოადგენს.

IX ეტაპი ითავლისწინებს შიდა და გარე სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშოებს, რომელიც უნდა გახორციელდეს უსაფრთხოების წესების სრული დაცვით. სამაღებრო სამუშაოებისთვის რეკომნედებულია გამოიყენოთ ქარხნული წარმოების ვერტიკალური სახარაჩო სისტემები.

X ეტაპი - სამშენებლო სამუშაოთა დასრულება, ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამშენებლო ნარჩენების გატანა, ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა

სამუშაებიობიექტი ვერ ჩაბარდება ექსპლუატაციაში შენობის სრული დამთავრებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანების გარეშე. ბოლო თვეში უნდა დაიგეგმოს მთლიანი ობიექტის დასუფთავება მიმდევრობით და მომზადება ექსპლუატაციაში მისაღებად.

სულ დადგინდა ათი ეტაპი - ხანგრძლივობით - 12 თვე

სამუშაოები უნდა წარიმართოს კალენდარული გეგმის მიხედვით. იხ. მოპ-1;

*შენიშვნა – ფარული სამუშაოების ჩამონათვალი:

ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ ფარული სამუშაოების დასრულება მოხდეს შესაბამისი აქტის შედგენით, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფარული სამუშაოების ფოტოფიქსაცია. აქტებზე ხელმომწერი მხარეები – დამკვეთი, მენარდე, ობიექტზე მიმაგრებული დამოუკიდებელი ზედამხედველი სუბიექტი; მიწის სამუშაოებზე აუცილებელია ინჟინერ-გეოლოგის დასწერება და აქტებზე მისი ხელმოწერის დაფიქსირება

ა) მოცემულ მშენებლობაზე ფარული სამუშაოების აქტები შედგეს შემდეგ ფარულ სამუშოებზე –

*მოედნის გეოდეზიურ დაკვალვაზე;

*მიწის სამუშაოების დასრულებისას;

*საძირკვლების ქვაბულების მოშანდაკებაზე;

*საძირკვლის კონსტრუქციების არმირებაზე მათ დაბეტონებამდე,

*საძირკვლის ჰიდროიზოლაციაზე,

*ყოველ საპროეტო ნიშნულზე - სვეტების, სართულშუა გადახურვის ფილებისა და რიგელების, მათი კვანძების, კონსტრუქციების არმირების დასრულებაზე მათ დაბეტონებამდე;

აქტები იკინძება და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

ბ) მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ტიპიური ფორმების მიხედვით შედგეს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც აისახება ყველა ზემოთ

ჩამოთვლილი ეტაპობრივი ქმედება; ასევე უსაფრთხოებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალები.

6. უსაფრთხოების ტექნიკა

ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

7. გარემოს დაცვის ღონისძიებები

ობიექტზე გამოყოფილი უნდა იყოს უსაფრთხოების ინჟინერი;

1. უცხო პირთა, აგრეთვე სამონტაჟო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მომსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.

2. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის, სიმაღლეზე მუშაობის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის საკითხებზე, პერიოდულად უნდა ჩატარდეს გამოცდაც.

3. სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა - მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით.

4. მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო _ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III _ 4 _ 80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

5. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

6. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) დღიური რაოდენობა სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.

7. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

8. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

9. იკრძალება ვიბრატორის და სხვა ელექტო მოწყობილობების ადგილიდან-ადგილზე გადატანა, მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ხელსაწყოები სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

10. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუგებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია.

11. ელ.მომმარაგებელი კომპანიის ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით, ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადდგურებიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენებით, საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება;

12. დაუშვებელია არაქარხნული ხელსაწყოების გამოყენება. ყველა დისკოიანი ელ.ხელსწყო აღჭურვილი უნდა იყოს გარსაცმით;

13. ავარიული სიტუაციისშემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის დროებითი გამაგრება. სადემონტაჟო ობიექტი უნდა იყოს განათებული ღამის საათებში.

14. ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

15. საჭიროების შემთხვევაში ობიექტზე სამშენებლო პროცესის წარმართვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას N477 27.10. 2017 წ. „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები. მშენებარე კარკასი შეიფუთოს არნიშნული რეგლამენტის მიხედვით მოაჯირებით, დამცავი ბადეებით და ა.შ. მუსა -პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი.

16. სამონტაჟო ტრანსპორტის გადაადგილებისას მოედანზე აკრძალულია საქმეში ჩაურთველ პირთა ყოფნა სახიფათო ზონებში.

17. ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელი; რეზინის ხელთათმანები,ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია ობიექტზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის, უსაფრთხოების ქამრების, რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

18. აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების ქვეშ. მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.

19. სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე. ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს.

20. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის და ობიექტზე დანიშნული უსაფრთხოების ინჟინრის მეთვალყურეობით. ნაგვის გატანა უნდა განხორციელდეს სპეციალური ავტოამწეების გამოყენებით და ავტოთვითმცლელებით; ზედმეტი ნაგვის დატვირთვა უნდა იწარმოოს გვერდითა ან უკანა მხრიდან.

8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება მოხდება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ.

1. სამონტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვით და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

2. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

3. სადემონტაჟო სამუშაოების დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად გადმოყრა დაუშვებელია, სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

9. რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმების, სპეც.ავტო-ტრანსპორტი

ბეტონის ტუმბო M32 -ის ტექნიკური დახასიათება

1. აწევის სიმაღლე----------32.00მ
2. შვერა----------28.00მ
3. ჩაწევის სიღრმე----------21.00მ
4. მობრუნების კუთხე----------360°
5. მანქანების ზომები----------2.80x10.00

საავტომობილო ამწე KC-3575A-ის ტექნიკური დახასიათება

1. ისრის სიგრძე----------9.50მ
2. ისრის შვერა----------5.75-14.80მ
3. ტვირთამწეობა----------0.75-4.50ტნ
4. აწევის სიმაღლე----------16.50-1.50მ

რეკომენდირებული სხვა მანქანა-მექანიზმები,ხელსაწყოები:

1. ერთჩამჩიანი ექსკავატორი 0,5მ3 ჩამჩით
2. თვითმცლელი
3. სიღრმითი ვიბრატორი
4. ზედაპირული ვიბრატორი
5. ავტობეტონდამრევი მიქსერით
6. გადასატანი კომპრესორი
7. შესადუღებელი აგრეგატი
8. ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი
9. შესალეს მოსასწორებელი აგრეგატი
10. ელშედუღების აგრეგატი
11. ავტოგენის შესადუღებელი აგრეგატი
12. მოზაიკის მოსახვეწი აგრეგატი
13. სამღებრო სადგური
14. ლითონის სახარაჩო ინვენტარი
15. კონუსური ტიპის ინვენტარული ნაგავსატარი
16. პნევმატური იარაღი(საბურღი, ხრახნი და სხვა)
17. სხვადასხვა დანიშნულების ხელის იარაღი

ყურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეიცვალოს ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

მშენებლობაში ჩართული სპეცავტოტრანსპორტის
მოძრაობის მიმართულებები



ტეტრიქსი
არქიტექტურა და მშენებლობა
TETRIX
ARCHITECTURE AND CONSTRUCTION

საქართველო, თბილისი, კოსტავას ქუჩა №77
GEORGIA, TBILISI, KOSTAVA st. №77
კონტაქტი/CONTACT: tetrix.ge@gmail.com, 551 37 00 44
ს/ა ID 406213663

ექსპლიკაცია:
EXPLICATION:

პროექტის დასახელება:	**PROJECT NAME:**		
სამეურნეო და საწარმოო ობიექტი საამქრო/სტამბა			
პროექტის მისამართი: **PROJECT ADRESS:**	ქ.თბილისი, ენუქიძის ქუჩა ს.კ. № 01.19.22.003.001		
დამკვეთი: **CLIENT:**	"სს ავტომობილისტი"		
თანამდებობა:	**POSITION:**	ხელმოწერა: SIGNATURE:	სახელი/გვარი: NAME/SURNAME:
დირექტორი	**DIRECTOR**		დავითი ჩიკვაიძე DAVITI CHIKVAIDZE
შეასრულა	**Designed**		დავითი ჩიკვაიძე DAVITI CHIKVAIDZE

სტადია: **Stage:**	
ნახაზის ნომერი: **Drawing number:**	
ნახაზის დასახელება: **Drawing name:**	

ფორმატი **Paper**	ინდექსი **Index**	მასშტაბი **Scale**
A3	-	1:10-100

12/11/2021

მშენებლობის განხორციელების კალენდარული გეგმა-გრაფკიკი

(ქალაქი თბილისი, ენუქიძის ქუჩა, N 5(ს/კ:01.19.22.003.001)

ობიექტის ფუნქცია: საწყობი

ეტაპების N	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	თვეების რაოდენობა მშენებლობის პერიოდის მიხედვით											
			6 თვე										
		მშენებლობის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით	I		II		III		IV		V		VI
II რიგი – მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები													
1	შენობა-ნაგებობების შიდა ტიხრის ცვლილება												
2	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები და ნაგვის გატანა												
	შენობა ნაგებობათა მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია 24 თვის პერიოდით												

თეიმურაზ ჩალაძე